ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N35

ქ.თბილისი

28 დეკემბერი, 2023 წელი
14[00]საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: ზურაბ აბაშიძე
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: თინათინ ნიბლოშვილი

საკრებულოს წევრები:

ლევან აბაშიძე
აკაკი ალადაშვილი
ლევან არველაძე
ვლადიმერ ბოჟაძე
საბა ბუაძე
ანა გოგოლაძე
არჩილ გორდულაძე
ოთარ გრიგოლია
მამუკა გუგეშაშვილი
ლევან დავითაშვილი
ნინო ვარდოსანიძე
კონსტანტინე ზარნაძე
მარიამ ზაქარიაშვილი
ანა კაკაბაძე
მიხეილ კაკაურიძე
ნიკოლოზ კახეთელიძე
ნინო კვიტაიშვილი
ცოტნე კობერიძე
კახაბერ ლაბუჩიძე
ლილე ლიპარტელიანი
შალვა ოგბაიძე
გიორგი ონიანი
გურამ ოქროპირიძე
ლევან ჟორჟოლიანი
რევაზ სოხაძე
ვახტანგ სურგულაძე
ზურაბ ჩიკვილაძე
გივი ჩხარტიშვილი
ავთანდილ ცინცაძე
ნინო წულაძე
ირაკლი ხელაძე
ალექსანდრე ხუჯაძე
ლევან ჯაფარიძე
სოფიო ჯაფარიძე
ბარბარა ჯიმელი სულაშვილი

საკრებულოს სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი ვახტანგ ლომჯარია;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი ნინო ლომინაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილეები: ვასილ აბულაძე, ოთარ ჩიტიძე, დავით ჯაიანი;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელი მარიამ კვერნაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელი ნინო ჯაფარიძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგებელი ბექა მიქაუტაძე;

შპს „თბილსერვის ჯგუფის“ დირექტორი დავით ფაჩულია.

საკრებულოს სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადებები გააკეთეს საკრებულოს წევრებმა.

საბა ბუაძემ ისაუბრა „ლაგუნა ვერეს“ მიმდებარე ტერიტორიაზე დაგეგმილ მშენებლობაზე, რომელსაც „უმძიმესი და სავალალო“ გადაწყვეტილება უწოდა და განაცხადა, რომ ეს არის „ურბანული გენოციდის“ თვალნათელი მაგალითი და დანაშაული ამ ქალაქის წინაშე, რომლის მთავარი გამომწვევი მიზეზი არის კორუფციული ინტერესი. ეს ტერიტორია ივანიშვილმა მიყიდა სანქცირებულ რუს ოლიგარქს და ახლა, ამ ტრანზაქციის ხარჯზე, ამ ყველაფრის ფასი უნდა გადაიხადონ თბილისელებმა, საკუთარი ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობით, იმიტომ, რომ საცხოვრებელი გარემო, რომელსაც დღეს საკრებულო აკანონებს, არის გაუსაძლის მდგომარეობაში. საბა ბუაძემ აღნიშნა, რომ დღეს, საკრებულოს ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომაზე იყვნენ სპეციალისტები, რომლებმაც მკაფიოდ თქვეს, რომ არც უსაფრთხოების, არც სატრანსპორტო და არც ისტორიულ-კულტურული თვალსაზრისით არ შეიძლება ამ დაწაშაულის ჩადენა. ბოლო წლების განმავლობაში, ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე და პრობლემური პროექტი, რომლის უკანაც დგას ივანიშვილის და კალაძის პირადი ინტერესი, რომლებმაც უნდა გაანადგურონ და დაამახინჯონ ამ ქალაქის ისტორიული იერსახე და კოლოსალური წვლილი შეიტანონ დედაქალაქში არსებულ სატრანსპორტო ქაოსში. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს არის მდინარე ვერეს პრობლემური კალაპოტი და იქიდან გამომდინარე, რომ გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადებით, მას არ აქვს იმ კვლევის ჩატარების კომპეტენცია, რომელსაც ითხოვს თბილისის საკრებულო, ფაქტობრივად უდიდესი რისკების უგულებელყოფით ხდება ამ ტერიტორიაზე მშენებლობის უფლების გაცემა. საუბრის ბოლოს, კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ ეს არის უმძიმესი პროექტი, რომლის ფასსაც თითოეული ჩვენგანი, პოლიტიკური კუთვნილების მიუხედავად, აუცილებლად გამოვცდით საკუთარ თავზე და მიმართა საკრებულოს უმრავლესობის წევრებს: „როგორც ჩანს, თქვენთვის ქალაქის ინტერესი არ არის პრობლემა და როცა არსებობს კონკრეტული ინტერესი, რომ ეს პროექტი განხორციელდეს, არანაირი ლოგიკური არგუმენტი თქვენთვის მისაღები არაა“.

ირაკლი ხელაძემ განაცხადა, რომ მისი აზრით, ის რაც დღეს ხდება და გასული დღეების განმავლობაში ხდებოდა „ლაგუნა ვერეს“ მიმდებარე ტერიტორიაზე განსახორციელებელ პროექტთან დაკავშირებით, არის იგივე, რაც ხდება ხოლმე ნებისმიერ საკითხთან მიმართებაში რომელსაც „ქართული ოცნება“ წინამძღოლობს, ეს იქნება ქალაქში განსახორციელებელი პროექტები თუ ქვეყნის მასშტაბით მნიშვნელოვანი საკითხები. მისი თქმით, როდესაც რაიმე უკავშირდება ბიძინა ივანიშვილს, ოპოზიციის წარმომადგენლები ცდილობენ რაც შეიძლება მეტი სიცრუე მიაწოდონ საზოგადოებას, რათა მოხდეს ადამიანების შეცდომაში შეყვანა, რისი გამოცდილებაც გვაქვს, თუნდაც დენდროლოგიურ პარკთან დაკავშირებით, როდესაც ამბობდნენ, რომ ბიძინა ივანიშვილი აპირებდა ამ ტერიტორიის „თავის ეზოდ“ გადაქცევას, თუმცა, დღეს, ყველა ვხედავთ, რომ იქ უამრავი ადამიანი მიდის. იგივე ხდებოდა თაბორის პროექტთან დაკავშირებით, როდესაც ამბობდნენ, რომ „ურბანული გენოციდი და კატასტროფა შევთავაზეთ თბილისელებს“, თუმცა, ეს პროექტი, ურბანული თვალსაზრისით, ქალაქის განვითარებაში იმდენად კარგად არის ჩამჯდარი, რომ ნახევარი თბილისი ელოდება მის დასრულებას. ასევე, იგივე ხდებოდა იპოდრომის ტერიტორიაზეც, რომელზეც ამბობდნენ, რომ „ბიძინა ივანიშვილმა მიიტაცა ეს ტერიტორია“, მაგრამ, დღეს ვხედავთ, რომ იქ შენდება თბილისის ცენტრალური პარკი და „პუშკინის სკვერის“ ტერიტორიაზეც, სადაც დღეს არის საზოგადოებრივი დანიშნულების სკვერი. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, მიმართა ოპოზიციის წარმომადგენლებს: „თქვენი დღის წესრიგი არის ის, რომ მაქსიმალურად მეტი სიცრუე მიაწოდოთ ხალხს და ბევრი ტყუილი უთხრათ, რომ შიყვანოთ შეცდომაში... ასე, რომ, ბიძინა ივანიშვილიც გააგრძელებს ქველმოქმედებას, ეს ქალაქიც გააგრძელებს

განვითარებას, ცათამბჯენებიც აშენდება და ნაძალადევში, რუხაძე-წილოსანის გრგ-ს რომ ემახით, ის პროექტიც განხორციელდება, რომ ახალი სიცოცხლე შევიდეს ნაძალადევში. თბილისი გახდება ევროპული ქალაქი და ყველაფერი მოწესრიგდება დროთა განმავლობაში“.

ნინო წულაძემ ისაუბრა უსაფრთხოებაზე, რომელიც, მისი თქმით, უნდა იყოს ქალაქის პრიორიტეტი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გვაქვს სავალალო პრაქტიკული გამოცდილება ვაკის პარკში მომხდარი ტრაგედიის შემდეგ. აღნიშნა, რომ პარტია „ხალხისთვის“ ორი წელია ითხოვს, რომ ქალაქში დარეგულირდეს პიროტექნიკის გამოყენება, რადგან ბავშვებში ჯანმრთელობის დაზიანების წარმოუდგენელი სტატისტიკაა და ასევე, ძალიან ცუდი, ვანდალური ფაქტები ხორციელდება ცხოველებთან დაკავშირებითაც, თუმცა, კვლავ ხდება ამ საკითხის უყურადღებოდ დატოვება, რაც ძალიან ცუდი პრაქტიკაა და ფიქრობს, რომ ხელისუფლებას არ უნდა ზიანი მიაყენოს ბიზნესს, რადგან მისთვის გაუგებარია სხვა რა შეიძლება იყოს ამ საკითხის ასე გაჭიანურების მიზეზი. ასევე, ისაუბრა ბავშვთა უფასო სასკოლო კვების პროგრამაზე, რასთან დაკავშირებითაც პარტიას ჰქონდა რეკომენდაცია, რომ განხორციელებულიყო 2024 წლის ბიუჯეტით, თუმცა, ესეც უპასუხოდ არის დატოვებული და ფიქრობს, რომ არც ეს საკითხია პრიორიტეტული მუნიციპალიტეტისთვის და „ქართული ოცნების“ გუნდისთვის. ნინო წულაძემ ასევე, ისაუბრა „ლაგუნა ვერეს“ მიმდებარე ტერიტორიაზე განსახორციელებელ პროექტზე და განაცხადა: „ნამდვილად არ ველოდი, რომ ქალაქის აოხრების მორიგი გეგმა ახალ წლამდე რამდენიმე დღით ადრე გამოვიდოდა საკრებულოს სხდომაზე“. მისი თქმით, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა არ გაითვალისწინეს არც ექსპერტების პოზიცია, არც ურბანული კვლევის ცენტრის დასკვნა და არც ძალიან ბევრი კვალიფიციური მოქალაქის მოწოდება, რომ აღარაფერი ვთქვათ ოპოზიციაზე და მიუხედავად დაპირებისა, რომ მეორე ეტაპზე რაღაც გაუმჯობესდებოდა, მაინც არაფერი შეიცვალა და საკრებულოს უმრავლესობა ერთადერთი რასაც ცდილობდა, არის ის, რომ ნოემბრიდან გაეხანგრძლივებინა ვადები, რათა წინასაახლწლოდ „საჟრიამულოდ“ გაეტანა ეს საკითხი. ნინო წულაძემ აღნიშნა, რომ იმ თორმეტ ცენტრალურ სატრანსპორტო კვანძს შორის, რომელზეც საუბრობს ხელისუფლება, ერთ-ერთი არის გმირთა მოედნის სატრანსპორტო კვანძი, რომელიც ჯერ კიდევ მოუწესრიგებელია და რეალურად არის „საცობების შექმნის ცენტრალური მოედანი“. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ გარდა იმისა, რომ ეს ორი ცათამბჯენი ამ სივრცეს გაანადგურებს სატრანსპორტო კუთხით, მას ვერ გაუძლებს მდინარე ვერეს კალაპოტი და მიმართა საკრებულოს უმრავლესობის წევრებს: „ღმერთმა არ ქნას, რომ თბილისში განმეორდეს 13 ივნისი... პოლიტიკური პასუხისმგებლობა იქნება თქვენზე, ამ პროექტის შემსრულებლებზე და ხელმომწერებზე“.

რევაზ სოხაძემ განაცხადა, რომ ამ პროექტის გეგმარებითი დავალება საკრებულომ დაამტკიცა აგვისტოში, თუმცა, მთელი ამ თვეების განმავლობაში, ოპონენტებისგან არცერთხელ არ ყოფილა ამ საკითხის განხილვის მოთხოვნა არც კომისიურ ფორმატში და არც სპეციალისტების ჩართულობით და აქედან გამომდინარე, ფიქრობს, რომ ამ თემასთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადებები მიმართულია იმისკენ, რომ დღეს შეიქმნას „ნიუსი, რომ ხდება რაღაც უბედურება და კატასტროფა“. აქვე აღნიშნა, რომ დღეს, საკრებულოს ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიამ, ორთაჭალაში დაამტკიცა განაშენიანების რეგულირების გეგმა, სადაც წარმოდგენილი იყო ასევე ცათამჯენების მშენებლობა, თუმცა, ამ საკითხზე არავინ საუბრობს. რევაზ სოხაძემ განაცხადა, რომ მისი აზრით, „ლაგუნა ვერეს“ მიმდებარე ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმაში გათვალისწინებულია ყველა ის საკითხი, რომელიც მუნიციპალიტეტის მხრიდან იყო დაყენებული, მათ შორის, ტრანსპორტის თუ ძველი ისტორიული შენობის შენარჩუნების კუთხით, რაც, მისი აზრით, ძალიან კარგია ქალაქისთვის. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ უმრავლესობის აზრით, ქალაქი სწორად ვითარდება, ეს პროექტიც დასამტკიცებელია და მუნიციპალიტეტის ხელისუფლება, აუცილებლად, კიდევ ბევრ, საინტერესო პროექტს შესთავაზებს ქალაქს.

გიორგი ონიანმა განაცხადა: „ვინაიდან ეს სხდომა არის ამ წლის ბოლო სხდომა, პირველ რიგში, მე მინდა ახალი წელი მივულოცო უკრაინაში მებრძოლ ქართველ გმირებს. მე მინდა მათ

ბოდიში მოვუხადო. ასევე, ბოდიში მოვუხადო გარდაცვლილ ბიჭებს, რომ ჩვენ, დღეს, 2024 წელს ვხვდებით მოსკოვის გამზირით და ვხვდებით სკვერის გარეშე, რომ ვერ გამოინახა მათთვის ადგილი და ასევე, მემორიალის გარეშე, რომლისთვისაც, ასევე, ვერ გამოინახა ადგილი. მე მინდა, ასევე, ბოდიში მოვუხადო ყველა იმ მოქალაქეს, რომელიც გამოდის 2023 წლის ბოლოს ავტომობილით და საათების განმავლობაში უწევს დგომა არა იმიტომ, რომ რაიმე სხვა იცვლება, უბრალოდ იცვლება ის, რომ მისი კორპუსის გარშემო სოკოებივით ამოდის კიდევ სხვა კორპუსები და არ არის დაცული არანაირი ზღვარი. მე მინდა, ასევე, ბოდიში მოვუხადო იმ სოციალურად დაუცველ ადამიანებს, რომლებსაც კვება სჭირდებათ და ამ კვებისთვის საკრებულომ გამოყო 1.70 ლარი, რაც, ალბათ, ყველა ხვდება, რომ დღიური კვებისთვის აბსოლუტურად შეუსაბამო თანხაა... და ყველაზე მთავარი, მაშინ, როდესაც კახი კალაძე ისურვებს ბევრ ბიძინა ივანიშვილს ჩვენს ქვეყანაში, მე ვისურვებდი, 2024 წელს გვყოლოდა ის ხელისუფლება, რომ ეს პრობლემები, რომლებიც დღეს ჩამოვთვალე და რომლებიც არის სირცხვილი, ჩემი აზრით, იყოს მოგვარებული და 2025 წელს შევხვდეთ ამ პრობლემების გარეშე".

კონსტანტინე ზარნაძემ ისაუბრა „ლაგუნა ვერეს" მიმდებარე ტერიტორიაზე განსახორციელებელ მშენებლობაზე და განაცხადა, რომ როდესაც ხედავს ოპოზიციონერი კოლეგების ასეთ წინააღმდეგობას, უფრო მეტად რწმუნდება იმაში, რომ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და სწორი პროექტია, რაც დედაქალაქში განხორციელდება მომავალში. მისი თქმით, ოპოზიცია ცდილობს წარმოაჩინოს, რომ ეს პროექტი არის „ურბანული გენოციდი", თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტერიტორიაზე რეალურად არის უსახური ვულკანიზაციები, ბენზინგასამართი სადგურები და დედაქალაქის იერსახიდან თავიდან ბოლომდე არის ამოვარდნილი. ამ ტერიტორიაზე ასევე, არის „ლაგუნა ვერეს" აუზი და შენობა, რომელიც ამ ქალაქისთვის არის ისტორიული და დედაქალაქის მოსახლეობაში რომ ჩავატაროთ გამოკითხვა, ამ აუზის აღდგენას მოითხოვს ათიდან ათივე თუ არა, ცხრა ადამიანი და ამ პროექტის შესრულების დროს, ვალდებულებაში დევს „ლაგუნა ვერეს" აღდგენა, რათა ეს ისტორიული აუზი ისევ დაუბრუნდეს დედაქალაქის მაცხოვრებლებს, ისევ ისარგებლონ ადამიანებმა, იყოს ლამაზი, მოწესრიგებული და გამართული სივრცე იმ ბიზნეს-ცენტრთან, რომელიც იქ შენდება და რომელიც დაასაქმებს ძალიან ბევრ ადამიანს, გაალამაზებს ტერიტორიას, აღადგენს აბრეშუმის ქარხანას და მომავალში, ეს პროექტი იქნება ერთ-ერთი ყველაზე საამაყო პროექტი საკრებულოს დღევანდელი წევრებისთვის. რაც შეეხება უსაფრთხოების ნორმებს, უნდა აღინიშნოს, რომ პროექტირების დროს, შემსრულებელმა აუცილებლად უნდა ჩადოს ყველა იმ კვლევის დოკუმენტი, რომელიც საჭირო იქნება მშენებლობის დასაწყებად, რათა მიეცეს მშენებლობის უფლება.

ნინო კვიტაიშვილმა განაცხადა, რომ სურს ისაუბროს იმაზე, თუ როგორ დასრულდა 2023 წელი და რეალურად რა წელი ჰქონდათ თბილისელებს, რადგან საკრებულოს წევრებმა საკრებულოში უნდა გააჟღერონ თბილისელების და არა რომელიმე კონკრეტული ბიზნესმენის ან ბიძინა ივანიშვილის და ა.შ. ხმა. მისი თქმით: თბილისმა „ურბანული ჯოჯოხეთი" მიიღო იმ ფონზე, როდესაც ჰყავს „მაძღარი, კოლექტიური ნოშრევანები" და ამავდროულად ქალაქში მომრავლდნენ მოწყალების მთხოვნელი ბავშვები, მშიერი ბავშვები და მოხუცები; ამ ქალაქის მოსახლეობა ფაქტობრივად ცხოვრების ნახევარს ატარებს საცობებში; არაგონივრულად დაგეგმილი მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების გამო, გაჩნდა კიდევ უფრო დიდი ინფრასტრუქტურული პრობლემები, რასაც თბილისელები ყოველდღიურად გრძნობენ საკუთარ თავზე; ვინც ქალაქში ფეხით მოძრაობს კარგად დაინახავს იმ ანტისანიტარიას და ეკოლოგიურ პრობლემებს, რომლებიც არის თბილისის ქუჩებში და ალბათ, ყველა ხედავს ნაგვით გადავსებულ ურნებს ყველა უბანში; სათანადო ყურადღება არ ექცევა მზრუნველობამოკლებულ ცხოველებს, რისი არაერთი ნათელი მაგალითის მოყვანაც შეიძლება. განაცხადა, რომ „ქართული ოცნების" გუნდს არ აღმოაჩნდა მოქალაქეობრივი თუ პოლიტიკური პასუხისმგებლობა არც მოსკოვის გამზირთან, არც როსტოვის და არც სანქტ-პეტერბურგის ქუჩებთან მიმართებით და თბილისელებმა უნდა იცოდნენ, რომ ოპოზიციის მიერ

გაჟღერებული არცერთი ინიციატივა არ განხილულა სერიოზულად და ყველა მათგანი „თაროზეა შემოდებული“. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ნინო კვიტაიშვილმა, მიმართა საკრებულოს უმრავლესობის წევრებს: „ვის უნდა მოსთხოვოს პასუხი მოქალაქემ ამ შეუსრულებელ დაპირებებზე, ამ მოუგვარებელ პრობლემებზე, თუ არა თქვენ? ანუ ვინ არის ამ ყველაფერში დამნაშავე, თუ არა მმართველი გუნდი? ჩვენ, ოპოზიცია, დიახ, ვიზიარებთ პასუხისმგებლობას და ამაში მდგომარეობდა გოგასგან გაჟღერებული ბოდიშები სწორედ. ვიაზრებთ იმ პასუხისმგებლობას, რაც გვაკისრია და ვფიქრობთ, რომ ვიპოვოთ როგორმე გზები, როგორ შეიძლება თქვენი დარწმუნება, მაგრამ ინიციატივების იგნორირებამ გვაჩვენა, რომ ცვლილების ერთადერთი სწორი გზა იქნება, რომ თქვენი გუნდი, უკვე 2024-ში, ჩამოშორდეს ხელისუფლებას. სხვა გზა არც ამ ქალაქს და არც ამ ქვეყანას არ გააჩნია“.

ავთანდილ ცინცაძე გამოეხმაურა გიორგი ონიანის გამოსვლას და განაცხადა, რომ მისი პარტიის წევრებს ეს ბოდიში არ ეყოფათ, მაგრამ თავის ნაცვლად, გოგა ონიანი ბოდიშს არ იხდის. ასევე, გამოეხმაურა ოპოზიციონერი კოლეგების გამოსვლას და განაცხადა, რომ ყურადღება არავის გაუმახვილებია დღის წესრიგით წარმოდგენილ ძალიან მნიშვნელოვან საკითხებზე და როდესაც საუბრობენ ინიციატივებზე, უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ კახი კალაძის ინიციატივით და საკრებულოს გადაწყვეტილებით, რომელშიც მათ მონაწილეობა არ მიუღიათ, ათიათასობით დაზარალებული ოჯახია დაკმაყოფილებული და მათ შორის, დღეს წარმოდგენილია კიდევ ერთი საკითხი, რომლის შედეგადაც მათ რიცხვს მიემატება კიდევ სამასამდე ოჯახი, მაგრამ ოპოზიციას არ აინტერესებს ესეთი საკითხები, რადგან ისინი ეხება ადამიანების სიკეთეს და მათ აინტერესებთ მხოლოდ და მხოლოდ ის, თუ როგორ ილაპარაკონ რაიმე ცუდი.

ცოტნე კობერიძე გამოეხმაურა ტელევიზიით გავრცელებულ სიუჟეტს, სადაც ბექა ყორშია ურეკავს იმ კომპანიის წარმომადგენელს, რომელიც ახორციელებს წერეთლის გამზირის რეაბილიტაციას და მიმართა „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს: „მოდით, ამ ამბავს ცოტა სერიოზულად შევხედოთ. რამ ათქმევინა იმ კაცს „გუთენ ტრაკენ“, ჩვენს მიერ რომ ფული აქვს მიცემული და მერე ამ ფულის ნაწილს უკან რომ თქვენს პარტიას უბრუნებს. რისი შეეშინდა ესეთის, რომ მზად იყო ესეთი ტიპის აბსურდი ეთქვა? რატომ არ გაუკვირდა ეს ზარი? ესე რეკავენ ხოლმე, რომ დაგირეკავენ და რაღაც კომენტარი უნდა გააკეთო ეხლა და ეს არ უნდა გაგიკვიდეს? კითხვა არ უნდა დაუსვა - ვინ ხარ? ვინ გეკითხება მე რა კომენტარს გავაკეთებ? რა „გუთენ ტრაკენ“, რა აბსურდს მეუბნები? არც კი „დაგუგლა“ იმდენად პირდაპირ გაატარა. ესე იგი, სუსი რეკავს, პარტია რეკავს? ვინ არის ის, ვის დარეკილზეც კაცი მზად არის სრული აბსურდები ილაპარაკოს „დაგუგლვის“ გარეშეც კი? რა არის ეს შიში? ეს შიში არის ზუსტად ის პარტია, ის სუსი, რაზეც ვსაუბრობთ. ეს შიშია ზუსტად ბაღის დირექტორებს, სკოლის დირექტორებს, მასწავლებლებს რომ აგდებინებს. ეს შიშია დეპუტატები ისეთ კანონს რომ აძლევენ ხმას, თვითონ რომ საერთოდ არ სჯერათ, არც მოსწონთ, ისეთ „სფიჩებს“ ამბობენ, თვითონ არ ეთანხმებიან. რატომ უნდა გამიკვირდეს, რატომ არ უნდა მჯეროდეს, რომ ვთქვათ, „ქოცის“ დარეკილზე „სფიჩს“ იტყვის დეპუტატი, რომელსაც არ ეთანხმება, როცა ბექა ყორშიას დარეკილზე ვხედავ კაცი რეებს საუბრობს. ეს ეჭვი რატომ არ უნდა მქონდეს? ასეთ საქართველოში ცხოვრება კარგია? იმ კაცს რამ ათქმევინა ეს? შიშია ეს თუ ის, რომ ფულს აღარ გააკეთებინებენ, თუ ისე არ იტყვის ზუსტად, როგორც ეტყვიან? ყველამ ხომ იცის, რომ ვიღაც ბიჭი არსებობს, რომელიც რეკავს, ხალხს „ამაიმუნებს“ და არ შეგეშალოთ - ეს დავალებაც არის მიცემული, მაგრამ ერთ პროცენტს რომ უშვებს მაინც იმის შანსს, რომ „ვაი და მართლა პარტიიდან მირეკავენ და ერთი გადაცდომილი არ ვთქვაო“ და პირდაპირ რომ ამბობს, ეს არის ზუსტად მთავარი გამაღიზიანებელი და უღირსობა რაც ხდება, იმიტომ რომ, როცა კაცი შენი სინდისის ხმას სადღაც ჩაჩქმალავ და მზად ხარ ისეთი რამ თქვა, რაზეც წარმოდგენაც არ გაქვს, რაღაცის შიშის გამო, ეს არის პრობლემა ან შიშის, ან იმის, რომ ფულს არ გაშოვნინებენ. მაგრამ, სამწუხარო ის არის, რომ თქვენ ხმებს კი არ აყალბებთ, თქვენ ხმების გამოძალვას აკეთებთ ზუსტად ამ მექანიზმით. ვიღაცას უბანში ურეკავენ და ეტყვიან, რომ „ნასამართლეობას მოგიხსნით, თუ ესე იზავ თუ არ იზავ, პირიქით, უარესია, დაგიჭერთ“. ესე ურეკავენ სკოლის

დირექტორებს და ყველას და ხალხი ესეთ შიშში და შანტაჟშია. ისეთ 2024 წელს ვისურვებდი, სადაც მივაღწევთ განვითარების იმ დონეს, რომ პარტიის შიშის გამო, ხალხს „გუთენ ტრაკენის“ ლაპარაკი არ უწევდეთ“.

ვლადიმერ ბოჟაძე გამოეხმაურა ნინო კვიტაიშვილის გამოსვლას და განაცხადა, რომ მან წამოაყენა პრობლემები და ისაუბრა ისე, თითქოს იმ პრობლემების მოსაგვარებლად არაფერი გაკეთებულა და მიმართა მას: „ბავშვებზე რომ საუბრობთ, სოციალურად დაუცველი ბავშვებს თქვენ დროს დახმარება რამდენი ჰქონდათ იცით? - ნული. ეხლა რამდენი აქვთ იცით? - ორასი ლარი... არც დედაქალაქის მერს მოუსმინეთ როცა აქ ანგარიში წარადგინა, არც ის მოისმინეთ რამდენი ათასი კვადრატული ახალი გზა დაიგო, არც რამდენი ხიდი რეაბილიტირდა ან რა ინფრასტრუქტურული პროექტები გაკეთდა. 81000000 ლარი მარტო ჯანდაცვაში დაიხარჯა, 30000-მა ბენეფიციარმა ერთჯერადი დახმარება აიღო, 33000-მა - წამალი. ეს მოქალაქეები ქუჩაში არ დადიან? ქუჩაში რომ დადიან ეს მოქალაქეები და უკეთეს დედაქალაქს ხედავენ და უკეთეს საქართველოს, იმიტომ ხართ 12 წელია ოპოზიციაში და კიდევ 12 წელი გარანტირებულად იქნებით იქ, სადაც ახლა ხართ... 4000-ზე მეტმა სტუდენტმა სწავლის დაფინანსება რომ მიიღო მარტო ამ ერთ წელიწადში, თქვენ დროს რამდენ სტუდენტს დაუფინანსეთ ერთი თეთრით მაინც სწავლა, შეგიძლიათ მითხრათ? ვერ მეტყვით, იმიტომ, რომ არასოდეს არავისთვის არაფერი გაგიკეთებიათ... სატრანსპორტო პოლიტიკაზე რომ ლაპარაკობთ, თქვენ ხომ კარგად იცით, ამ ქალაქში რამდენი მანქანა დადიოდა თქვენ დროს და ახლა რამდენი მანქანა დადის. თუ თქვენ ამას კალამეს და „ქართულ ოცნებას“ აბრალებთ რომ ჩვენ ვუყიდეთ თბილისელებს ორ-ორი მანქანა ოჯახში, მაშინ დაგეთანხმებით - მართალია, ჩვენ შევქმენით ისეთი ეკონომიკური პირობები, რომ მოქალაქეებს მანქანები ჰყავდეთ, სახლები ჰქონდეთ, აგარაკები ჰქონდეთ და უკეთესი ცხოვრებითაც ცხოვრობდნენ, ვიდრე თქვენ აცხოვრებით ამ ქვეყანაში ხალხს.“

ლევან არველაძემ ისაუბრა 2023 წელს შესრულებულ სამუშაოებზე და აღნიშნა: ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა ექსპლუატაციაზე დახარჯულია 232000000 ლარი და შესრულება არის 81%; ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებაზე - 230000000 ლარი, სადაც შესრულება არის 87%; სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენაზე - 503000000 ლარი, ხოლო შესრულება არის 89%; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარებაზე - 43000000 ლარი, შესრულება არის 91%; ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე - 143000000 ლარი, ხოლო შესრულება არის 94%, განათლებაზე - 218000000 ლარი, შესრულება არის 84%. ლევან არველაძემ, ასევე, ისაუბრა 2024 წელზე და აღნიშნა, რომ მომავალ წელს ჩვენს ქვეყანაში არის მთავარი პოლიტიკური მოვლენა - საპარლამენტო არჩევნები, რომელიც, ახალი კონსტიტუციის თანახმად, ჩატარდება სრულად პროპორციული სისტემით, 5%-იანი ბარიერით და განაცხადა, რომ დარწმუნებულია, „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“, განახლებული გუნდით და ახალი პროგრამით, მოიპოვებს მნიშვნელოვან გამარჯვებას და გაგრძელდება სწორი, პრაგმატული პოლიტიკა, რომელიც ამ წლების განმავლობაში ხორციელდებოდა ჩვენს ქვეყანაში.

თინათინ ნიბლოშვილი გამოეხმაურა გიორგი ონიანის გამოსვლას, რომელმაც, მისი თქმით, „წელი ბოდიშებით შეაფასა“ და განაცხადა: „მეც მინდა, წელი შევაფასო და ვთქვა, რომ ასეთი ოდიოზური შემადგენლობა, როგორიც ჰყავს ამ მოწვევაში „ნაციონალურ მოძრაობას“, არცერთ სხვა მოწვევაში არ ჰყოლია“. რაც შეეხება გიორგი ონიანს, ალბათ მისთვის ძალიან ნაცნობი თარიღია 2009 წლის 15 ივნისი, როდესაც „კოლექტიურმა გოგა ონიანებმა“ სასტიკად სცემეს და დააკავეს ის ადამიანები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ მათ წინააღმდეგ გამართულ აქციაში და საინტერესოა, მათთვისაც ხომ არ მოუხდია ბოდიში, ისევე, როგორც ახლა უხდის მთელ საზოგადოებას. საინტერესოა, ასევე, ახსოვს თუ არა ისეთი პატიმარი, რომელსაც ყურის აპკი დაუზიანეს და დროებითი მოთავსების იზოლატორში მყოფს, წამალს არ აწვდიდნენ სამი დღის განმავლობაში და სანამ ტკივილისგან გული არ წაუვიდა, ექიმი არ მიუყვანეს და რადგან დღეს, ბატონმა გოგამ ბოდიშების განწყობაზე დაიწყო სხდომა, იქნებ სხვა ადამიანებსაც მოუხადოს ბოდიში. საუბრის ბოლოს, თინათინ ნიბლოშვილმა მიმართა გიორგი ონიანს: „სანამ

რამეს იტყვით ხოლმე, განსაკუთრებით თქვენ, რაღაცები გაიხსენეთ იმიტომ, რომ აქ ის ადამიანები ვართ, ვინც ძალიან კარგად გიცნობთ წლების განმავლობაში. თქვენ შეიძლება ჩვენ არ გახსოვართ, მაგრამ ადამიანები ვართ, ვისაც ძალიან კარგად გვახსოვს თქვენი „მოღვაწეობა". ამიტომ, კარგად დაფიქრდით ხოლმე, სანამ ბოდიშების მოხდას დაიწყებთ წინასაახალწლოდ".

ვახტანგ სურგულაძემ განაცხადა, რომ ვინაიდან მოდის ახალი წელი, სურს ისაუბროს სურვილებზე - „მე მინდა, რომ თბილისი გახდეს სუფთა ქალაქი და არა ის ჭუჭყიანი ქალაქი, სადაც მანქანას რომ გარეცხავ, 20 წუთში ისევ ჭუჭყიანია. თბილისი არის ნაგავსაყრელების ქალაქი და ერთ-ერთი ნაგავსაყრელი არის „ლაგუნა ვერე", რომელიც ამად აქცია ბიძინა ივანიშვილმა. თბილისი არის ქალაქი, სადაც ყველაზე სწრაფად იზრდება სასუნთქი სისტემების დაავადებები და მათ შორის, ონკოლოგიური დაავადება. რატომ? იმიტომ რომ ბინძური ქალაქი ვართ. დიახ, მე მინდა, რომ ჩვენ გავხდეთ არა ნაგავსაყრელების ქალაქი, არამედ ნაგავგადამამუშავებელი ქარხნების ქალაქი. მე მინდა, რომ აქ არავის ეშინოდეს ცხოვრება. მე მინდა და ჩვენ, ყველას გვინდა, რომ რაც შეიძლება ნაკლები ადამიანი სარგებლობდეს 1.70 ლარიანი უფასო სასადილოებით. მე მინდა, რომ შშმ პირებს - უსინათლოებს, სმენადაქვეითებულებს და სხვას არ ჰქონდეთ გადაადგილების და ინკლუზიის პრობლემა ჩვენს ცხოვრებაში. მე მინდა, რომ პენსიონერებს არ ეშინოდეთ აფთიაქში და მაღაზიებში შესვლის, რადგან ყველამ ვიცით რა ფასებია ყველგან. მე მინდა, ახალგაზრდები რომ დაამთავრებენ ბაკალავრიატს, უცხოეთში წასვლა არ უნდოდეთ და აქ გაიარონ ფასიანი სტაჟირება. მე მინდა რომ რუსული წარწერები იყოს ნაკლები და ქუჩაში მარტო რუსული საუბარი არ ისმოდეს". ვახტანგ სურგულაძემ განაცხადა, რომ არ სურს, ქალაქში და ქვეყანაში ხდებოდეს ის, რაც თუნდაც დღეს მოხდა ვარკეთილში, როდესაც ორი ლეკვი მოწამლეს და დაინტერესდა, ნუთუ არ შეიძლებოდა, რომ რუსთაველის გამზირის რეაბილიტაციისთვის არ გამოგვეყო 15000000 ლარი და ეს თანხა მიგვემართა ცხოველთა მონიტორინგის სამსახურში, რათა გადაგვეწყვიტა ამ მიმართულებით არსებული პრობლემა, რომლის მოგვარებასაც შესაძლებელია არც ეყოს თხუთმეტი მილიონი, მაგრამ გაცილებით წინ წავიწევდით. ასევე, არ სურს ხედავდეს მოწყალებისმთხოვნელ ადამიანებს, რომელთა რაოდენობასაც ამ ქალაქში ყველა ვხედავთ. საუბრის ბოლოს, ვახტანგ სურგულაძემ აღნიშნა, რომ სურს ეს ყველაფერი დაიწყოს 2024 წელს, თუმცა, მისი თქმით, ამას ვერ მივაღწევთ, თუ ისევ მმართველი პარტია დარჩება ხელისუფლებაში და მხოლოდ კოალიციურ მთავრობას აქვს შანსი გადაწყვიტოს ეს პრობლემები, რადგან, როგორც მიხელსი წერდა, „დემოკრატიულად არჩეული ერთპარტიული სისტემა ყოველთვის გადაიზრდება ოლიგარქიად" და განაცხადა: „აღარ გვინდა არც ოლიგარქია და არც ერთპარტიული სისტემა. ამიტომ, 2024 წელი მინდა გახდეს ისეთი, რომ მმართველი პარტია, რომელიც ეხლა არის, აღარ იყოს მმართველი პარტია და იყოს კოალიციური მთავრობა".

ანა გოგოლაძემ აღნიშნა, რომ როდესაც მისი ოპოზიციონერი კოლეგები საუბრობდნენ „ლაგუნა ვერეს" მიმდებარე ტერიტორიაზე განსახორციელებელი პროექტის მოსალოდნელ მძიმე შედეგებზე, რომელიც რეალობასთან ძალიან ახლოს არის, „უმრავლესობის ფლანგზე იყო მხიარულება", რაც შეურაცხმყოფელია თბილისელებისთვის და მიმართა მათ: „ხშირად გავიწყდებათ ხოლმე, ისევე, როგორც შეიძლება ჩვენც გვავიწყდებოდეს, რომ აქ ბიზნესმენების ან მმართველების კერძო ინტერესებს კი არ წარმოვადგენთ, არამედ თბილისელების და თბილისელების მხრიდან რეზონანსი ამ პროექტის მიმართ, ვნებათ ღელვა, აღშფოთება, კრიტიკა იყო ძალიან მაღალი". აღნიშნა, რომ ამ პროექტზე ძალიან კრიტიკული პოზიცია დააფიქსირა არაერთმა კვალიფიციურმა ექსპერტმა, რომლებსაც, სამწუხაროდ, კახი კალაძემ „ნაციონალური მოძრაობის" პარტიული აქტივი უწოდა, რითიც უკვე ჩანს დამოკიდებულება. გამოეხმაურა რევაზ სოხაძის განცხადებას, თუ რატომ არ ჩაანიშნინა არცერთი სხდომა ოპოზიციამ ამ საკითხთან დაკავშირებით და მიმართა მას: „ამის ვალდებულება თქვენ გქონდათ. როდესაც მოსახლეობას აქვს ამხელა ვნებათა ღელვა გარკვეული საკითხების მიმართ, თქვენ უნდა გახადოთ დისკუსიები საჯარო, ამას ოპოზიცია ვერ გაიძულებთ. ჩვენ ძალიან ბევრი პოზიტიური დღის წესრიგით შემოვსულვართ, მაგრამ თქვენგან ყოფილა უარი. თქვენ გქონდათ იმის ვალდებულება, რომ მოსახლეობა დაგერწმუნებინათ ამ პროექტის სარგებლიანობაში". ანა

გოგოლაძემ ისაუბრა 2015 წელს მდინარე ვერეს მოვარდნის შემდგომ, თბილისის მერიის მიერ ჩატარებულ კვლევაზე, სადაც საუბარია, მათ შორის, იმაზე, თუ სად და რა სახის შენობების განთავსება შეიძლებოდა ამ არეალზე. „ლაგუნა ვერეს“ ტერიტორია, მართალია, ღვარცოფულ ზონაში არ მოექცა, მაგრამ მოექცა ისეთ არეალში, რომელიც საჭიროებს სპეციალურ დაგეგმარებას და ნახსენებია, რომ აქ შეიძლება განთავსდეს მხოლოდ და მხოლოდ მსუბუქი კონსტრუქციები, საწყობები, სადგომები, მაქსიმუმ სპორტული მოედანი. თუმცა, მიუხედავად ამისა, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები გვიმტკიცებენ, რომ თურმე ამ პროექტის განხორციელება თბილისელებისთვის იქნება ძალიან მომგებიანი. აქვე, გამოეხმაურა კონსტანტინე ზარნაძის სიტყვებს, რომ ამ პროექტის განხორციელებით „თბილისელები დასაქმდებიან“ და მიმართა მას: „თბილისელები შეიძლება სხვაგან დავასაქმოთ და არა ღვარცოფულ ზონებში, გეოლოგიურად აქტიურ ზონებში და მაინც და მაინც მდინარის კალაპოტთან, სადაც არის ძალიან დიდი გეოლოგიური რისკები“. აღნიშნა, რომ რევაზ სოხაძემ ოპოზიციის წარმომადგენლები გააკრიტიკა იმის გამო, რომ სხვა პროექტებთან დაკავშირებით არ აქვთ იგივე დამოკიდებულებაო, თუმცა, რეალურად, კომპლიმენტი უთხრა მათ, რადგან სხვა პროექტებთან ვერ ექნებათ იგივე დამოკიდებულება, იმიტომ რომ იქ არ არის შეტბორვის არეალები. საუბრის ბოლოს, ანა გოგოლაძემ განაცხადა, რომ ის გადაწყვეტილება, რომელსაც ამ პროექტთან დაკავშირებით მიიღებს საკრებულო „არის პარტიული გადაწყვეტილება“ და მიმართა უმრავლესობის წევრებს: „პასუხისმგებლობა, რაც შეიძლება დადგეს ამ პროექტის განხორციელების შემთხვევაში, სულ ცოტა სატრანსპორტო, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გეკისრებათ თავიდან ბოლომდე „ქართულ ოცნებას“.

ზურაბ აბაშიძის თქმით, დღეს მოისმინა „ფსევდოპატრიოტული“ განცხადებები და აღნიშნა, რომ დაახლოებით ორი წლის წინ დაიწყო საუბარი მოსკოვის გამზირისთვის სახელის გადარქმევაზე, რომელსაც ახლა დაემატა კიდევ სანქტ-პეტერბურგის ქუჩის სახელის შეცვლა და განაცხადა, რომ „ამ „სპეკულაციას უნდა დაესვას წერტილი და დასრულდეს ამაზე საუბარი“, რადგან არავის გახსენებია არც ერთი და არც მეორე 2008 წელს - იმ დროს, როდესაც მოხდა ჩვენი ტერიტორიების ოკუპაცია და ახლა, „ხელმოცარული პოლიტიკური ძალა, „ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც დაიშალა მარტივ მამრავლებად“ ცდილობს რაღაც ქულების დაწერას“.

არჩილ გორდულაძე გამოეხმაურა გიორგი ონიანის გამოსვლას და განაცხადა: „ძალიან სამწუხაროა, რომ ონიანის მსგავსი ადამიანები გამოდიან და ვითომ გვამუნათებენ. სამწუხაროა იმიტომ, რომ მათი დღის წესრიგი შედგენილია კვირიდან კვირამდე, დღიდან დღემდე, საათიდან საათამდე... ასეთი ადამიანები, რომლებიც აქ არიან წარმოდგენილები, ხალხის და თბილისელების სახელით რომ საუბრობენ, ეს არის ყველაზე დიდი შეურაცხყოფა თბილისელებისთვის“. არჩილ გორდულაძის თქმით, „კოლექტიურ ნაცმოძრაობას“ მხოლოდ და მხოლოდ ერთი მიზანი აქვს - როგორმე ხელი შეუშალოს ჩვენი ქვეყნის განვითარებას და ადამიანებზე ზრუნვას, თუმცა, ყველამ კარგად იცის, ვინ ვინ არის, ვის რა გაუკეთებია და ქართველი ხალხი უზრუნველყოფს იმას, რომ მომავალში არასდროს იქნება ისეთი დრო, როდესაც დღევანდელი ოპოზიციის წარმომადგენლებს თუნდაც იოტისოდენა შესაძლებლობა ექნებათ იმისა, რომ რაიმე გადაწყვეტილება მიიღონ.

შალვა ოგბაიძე გამოეხმაურა გიორგი ონიანის გამოსვლას და განაცხადა, რომ ყველამ კარგად იცის, თუ რა ხდებოდა და როგორ ექცეოდა ადამიანებს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლება, თუმცა, ამის გამო, ბოდიში არავისგან არასდროს მოუსმენია და სანამ არ მოისმენს მათგან რაიმე „ბოდიშისმაგვარს“, ყოველთვის შეახსენებს მათ იმ პერიოდში ჩადენილ ქმედებებს.

ბარბარა ჯიმელი სულაშვილმა აღნიშნა, რომ „ლაგუნა ვერეს“ მიმდებარე ტერიტორიაზე განსახორციელებელ პროექტთან დაკავშირებით ძირითადი კრიტიკა არის არა იმაზე, რომ იქ შენდება მაღლივი შენობები, არამედ იმაზე, რომ კომპლექსურად არ განიხილება თუ რა ხდება სანაპიროზე ტრანსპორტის, კულტურული მემკვიდრეობისა და სპორტული ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით და რომ „ლაგუნა ვერეს“ აუზი დაკავშირებული უნდა იყოს ვერის პარკის

სპორტულ ინფრასტრუქტურასთან. მაგრამ, ეს არ აინტერესებს ქალაქის ხელისუფლებას, რადგან ამ შემთხვევაშიც ხდება ის, რაც ხდება ბოლო ათი წლის განმავლობაში, რომ მათთვის ქალაქის ინტერესებისა და მოსახლეობის უსაფრთხოებაზე უპირატესი პირადი ინტერესებია. ბარბარა ჯიმელი სულაშვილმა მიმართა უმრავლესობის წარმომადგენლებს: „თქვენ ერთმანეთს ასწრებთ ქალაქის და ქვეყნის სიყვარულს. ძალიან მიკვირს როდესაც ესეთი რაღაც მესმის იმიტომ, რომ მოსკოვის პროსპექტს ისევ ჰქვია მოსკოვის პროსპექტი. თბილისელების 85%-ს უნდა ევროპა, ტრაბახობთ - „ჩვენ მოვიპოვეთ სტატუსი", მაგრამ ხალხი რომ არ გამოსულიყო, თქვენ არც კი შეიტანდით განაცხადს და გააგრძელებდით ცხოვრებას რუსეთის ინტერესის დასაცავად. როგორ შეიძლებოდა, რომ მერიიდან მოხსნეს ევროკავშირის დროშა და დაწვეს ისე, რომ დაცვაც კი არ მივიდა? როგორ ხდება ხოლმე, რომ წამიერად იშლება ანწუხელიძის სტენსილები და ნატოს და ევროპის სიმბოლიკები და რუსულად „დაჯღაბნილი" რაღაცები არის და არის? ამ 85%-ში, რომლებიც არიან პროევროპელები, არიან სწორედ რომ „ქართული ოცნების" ამომრჩევლებიც და მოემზადეთ იმისათვის, რომ ეს ხალხი დაგიპირისპირდებათ და აღარ გექნებათ იმის საშუალება, რომ ისინი „ხელის გადაგრეხვით", მოსყიდვით და დაშინებით მიიყვანოთ საარჩევნო უბანზე".

კახაბერ ლაბუჩიძემ განაცხადა, რომ 2023 წელს, დედაქალაქში ჩატარდა უპრეცედენტოდ მრავალი ინფრასტრუქტურული სამუშაო, განხორციელდა უპრეცედენტოდ მრავალი პროექტი სპორტის, ახალგაზრდობის, კულტურის, განათლების თუ სხვა მიმართულებით, რაც, მისი თქმით, გაგრძელდება 2024 წელსაც. გამოეხმაურა „ლაგუნა ვერეს" მიმდებარე ტერიტორიაზე განსახორციელებელ პროექტთან დაკავშირებით ოპოზიციის მიერ გაკეთებულ განცხადებებს და მიმართა მათ: „ასე მგონია, რომ ერთი სიტყვაც არ შეგიცვლიათ აგვისტოს სხდომის შემდეგ, რასაც ამბობდით აგვისტოს სხდომაზე, რა გვარებითაც მანიპულირებდით, იგივე ხდება დღეს. მაშინ გითხარით, რომ „თქვენ მოსახლეობას ატყუებთ - გეგმარებით დავალებას ასაღებთ, თითქოს გადაწყვეტილება მოხდა". დღესაც ზუსტად იგივეს ლაპარაკობთ და მაშინდელივით მინდა გითხრათ, რომ მოსახლეობას ვერ მოატყუებთ და არ მოგატყუებინებთ".

ანა კაკაბაძემ განაცხადა, რომ ის ადამიანები, რომლებიც დღეს უმრავლესობას აკრიტიკებენ კონკრეტულ სიმბოლიკებსა და სახელებზე, არ იმყოფებოდნენ საკრებულოს სხდომათა დარბაზში მაშინ, როდესაც საკრებულომ თბილისის ქუჩებს მიანიჭა 2008 წლის ომში და აფხაზეთის ომში დაღუპული გმირების სახელები და არცერთი ამ საკითხისთვის მხარი არ დაუჭერიათ. ისაუბრა 2023 წელზე და განაცხადა, რომ ის იყო ძალიან მნიშვნელოვანი წელი თბილისის მუნიციპალიტეტისთვის, თუმცა, მისთვის, განსაკუთრებით აღსანიშნავია ჯანდაცვის მიმართულებით განხორციელებული პროექტები, მათ შორის: ბიუჯეტს დაემატა ახალი ქვეპროგრამა - ენდოპროტეზირების დაფინანსება, რომელიც მოსახლეობისთვის იყო ძალიან დიდი გამოწვევა და.უკვე გადაიჭრა; აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამაში გადაუჭრელი პრობლემა იყო მომლოდინეთა რაოდენობა, რაც მოგვარდა და პროგრამას დაემატა სამასი მომლოდინე ბავშვი, რომელსაც სურდა ჩართულიყო პროცესში; ღვიძლის ტრანსპლანტაციაზე და გაფანტულ სკლეროზზე დაფინანსება იყო მხოლოდ 70%, თუმცა, მიღებული იქნა გადაწყვეტილება 100%-იან დაფინანსებაზე და ამ ეტაპზე ხდება ბენეფიციარების სრული დაფინანსება. მისი თქმით, 2023 წელი მნიშვნელოვანი იყო სხვა მიმართულებებითაც და თუ ვისაუბრებთ იმ გამოწვევებზე, რაც ხდებოდა საერთაშორისო მასშტაბით, ომის და რეგიონში არსებული მძიმე მდგომარეობის გათვალისწინებით, პირველი გამოწვევა ქვეყნისთვის იყო მშვიდობა და სტაბილურობა, რისი შენარჩუნებაც მოახერხა „ქართული ოცნების" გუნდმა. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ წლების შემდეგ, როდესაც ვისაუბრებთ 2023 წელზე, რაც გაგვახსენდება და ჩაიწერება ისტორიაში, ეს იქნება კანდიდატის სტატუსის მიღება და 14.12.2023 იქნება თარიღი, რომელიც „ოქროს ციფრებით" ჩაიწერება ჩვენს ისტორიაში და დარწმუნებულია, 2024 წელი იქნება კიდევ უფრო დიდი გამარჯვების, წარმატების და წინსვლის წელი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „მისამართებზე - ქ.თბილისი, საირმეს ქ.N37 (ს/კ. N01.10.14.024.036), ქ.თბილისი, მუხაძის ქ.N4 (ს/კ. N01.14.11.024.004), ქ.თბილისი, ი.აბაშიძის ქ.N55 (ს/კ. N01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

2. „შპს „აშფორდ დეველოპმენტი“-ს (ს/ნ. 405384463) მიმართ მისამართზე - ქ.თბილისი, ზ.ფალიაშვილის ქ.N104-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ. N01.14.11.021.027) - მიმართებით დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

3. „შპს „ათორის“ (ს/ნ. 405077633) და მასთან აფილირებული კომპანიების მიერ მშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად დაზარალებული პირების საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფის მიზნით, ქ.თბილისში, სარაჯიშვილის ქ.N36-ში მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 16871 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.10.10.007.061 და სიტუაციური ნახაზის შესაბამისად) კონკურენტული შერჩევის წესით პრივატიზებისა და მასზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობის თაობაზე“ ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების თაობაზე საკითხის შეთანხმების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ლომინაძე

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ლომინაძე

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: ბექა მიქაუტაძე

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის რეორგანიზაციის შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ჯაფარიძე

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: დავით ჯაიანი

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

10. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

11. „სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსის (M_2 ან M_3 კატეგორიის) მარშრუტების დამტკიცებისთვის წესის განსაზღვრისა და მარშრუტების დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე სხვადასხვა კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ადგილის ან/და დროის განსაზღვრის შესახებ“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

13. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 125^2 მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 134^1 მუხლით, 135-ე-135^5 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125^2 მუხლით, 135-ე-135^5 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის N57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

14. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების მართვის მომსახურების ორგანიზების კონკრეტული ფორმის გამოყენებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე“;

მომხსენებელი: დავით ფაჩულია

15. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის ქუჩა N18-ში არსებული 91.22 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.062.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

16. „ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N44-ში არსებული 23.84 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.009.01.094) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

17. „ქალაქ თბილისში, აეროპორტის დასახლებაში, სახლი N91-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.008.012.01.001) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

18. „ქალაქ თბილისში, თენგიზ ჩანტლაძის ქუჩა N21ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.10.041.028) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

19. „ქ.თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩა N7/1-ში არსებული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.14.003.627.01.502) პირდაპირი განკარგვის წესით ააიპ - საქართველოს ძალოსნობის ეროვნული ფედერაციისთვის (ს/ნ. 204892777) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

20. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ინდუსტრიულ ქალაქს“ (ს/ნ. 404580191) შორის 2019 წლის 23 სექტემბერს გაფორმებულ „პირობებით გამოცხადებული აუქციონის N0-482-1-23724 ხელშეკრულებაზე“ დამატებების განხორციელების შესახებ შეთანხმების მოწონების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

21. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მესამე მასივში მდებარე რიგი ავარიული კორპუსების ჩანაცვლების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ ინტერესთა გამოხატვის გამოცხადების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

22. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-90 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ვახტანგ ლომჯარია

23. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ვახტანგ ლომჯარია

24. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვახტანგ ლომჯარია

25. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

26. „ქალაქ თბილისში, პეტრე ქავთარაძის ქუჩა, N22ა; ქალაქი თბილისი, პეტრე ქავთარაძის ქუჩა, N22ბ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.03.040.095; N01.14.03.040.372) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

27. „ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში; ქალაქი თბილისი, ტაბახმელა, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.21.961; N81.02.21.509 N81.02.21.962; N81.02.21.508; N81.02.21.506; N81.02.21.593; N81.02.21.592; N81.02.01.692; N81.02.21.180; N81.02.21.222; N81.02.21.722; N81.02.21.221; N81.02.94.946; N81.02.21.537; N81.02.21.179; N81.02.21.772; N81.02.01.381-ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

28. „ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში, მარიჯანის ქუჩა, N30გ, N30დ, N30ა, N32, N30, N30ბ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.18.580; N81.02.18.579; N81.02.18.582; N81.02.12.903; N81.02.18.666; N81.02.18.581) და მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

29. „ქალაქ თბილისში, მერაბ კოსტავას ქუჩა N55; ქალაქი თბილისი, მდ.მტკვრის მარჯვენა სანაპიროს და კოსტავას I შესახვევი; ქალაქი თბილისი, კოსტავას ქუჩა N69-ში; ქალაქი თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა N51; ქალაქი თბილისი, მდ.მტკვრის მარჯვენა სანაპიროსა და კოსტავას I შესახვევი; ქალაქი თბილისი, ფაბრიკა „ამირან-სინთეზი“-სა და ცენტრალური საცურაო აუზის მიმდებარედ, სანაპიროს მხრიდან; ქალაქი თბილისი, სამრეწველო-სავაჭრო ფირმა „ამირან-სინთეზი“-ს მიმდებარე ტერიტორია სანაპიროს მხრიდან; ქალაქი თბილისი, გმირთა მოედანსა და საცურაო აუზს შორის; ქალაქი თბილისი, ცენტრალური საცურაო აუზის მექანიკური საამქროს მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, „ლაგუნა ვერეს“ მოპირდაპირედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.15.03.004.038; N01.15.03.004.090; N01.15.03.004.049; N01.15.03.004.037; N01.15.03.004.017; N01.15.03.004.028; N01.15.03.004.015; N01.15.03.004.008; N01.15.03.004.013; N01.15.03.004.019; N01.15.03.004.043; N01.15.03.004.041; N01.15.03.004.042; N01.15.03.004.046; N01.15.03.004.023; N01.15.03.004.084; N01.15.03.004.061; N01.15.03.004.079; N01.15.03.004.078) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

30. „ქ.თბილისში, ნამალადევის რაიონში, ლიპტოვის ქ.N8, N17-ში, თბილისის ზღვა, ბეშენოვას ქ.N7, N7ა, N9, N22, N24, N26, N28, N30-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე

მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 8 მაისის N164 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

31. „ქ.თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა N38-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.07.007.046, ფართობი 26123 კვ.მ.) და მიმდებარე ტერიტორიაზე საერთო ფართობით 26973 კვ.მ. განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 18 ოქტომბრის N334 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

32. „ქალაქ თბილისში, კრწანისის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.06.013.013, ნაკვეთი ·13/13) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 14 აგვისტოს N200 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

33. „ქალაქ თბილისში, ზემო ფონიჭალის დასახლებაში მე-3 მ/რ-ის გაგრძელებაზე (ნაკვ. 37/1); ქალაქი თბილისი, სპირიდონ ვირსალაძის ქუჩა, N1, N3, N5, N7-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.18.13.037.001, N01.18.13.037.039, N01.18.13.037.038, N01.18.13.037.040, N01.18.13.037.061) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

34. „ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.02.740; N81.02.02.738; N01.81.02.280.005-ის ნაწილი) და მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

35. „ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ შინდისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N N81.02.06.536; 81.02.06.537; 01.81.02.100.037; 01.81.02.100.036; 81.02.06.538; 81.02.06.535; 81.02.94.740; 81.02.98.016; 81.02.06.527; 81.02.06.567; 81.02.06.394; 81.02.06.549; 81.02.06.543; 01.81.02.100.001; 01.81.02.100.002; 01.81.02.100.019; 01.81.02.100.017; 01.81.02.100.018; 81.02.06.530; 81.02.06.540; 81.02.06.539; 81.02.06.529; 01.81.02.100.043; 01.81.02.100.042; 81.02.94.234; 81.02.06.531; 81.02.06.569; 81.02.93.291; 81.02.96.001; 81.02.06.424; 01.81.02.100.033; 01.81.02.100.032; 81.02.06.532; 81.02.06.546; 81.02.06.542; 81.02.94.185; 81.02.94.314; 01.81.02.100.007; 01.81.02.100.009; 01.81.02.100.008; 01.81.02.100.006; 81.02.95.832; 81.02.96.443; 81.02.94.333; 81.02.06.485; 81.02.94.184; 01.81.02.100.030; 01.81.02.100.031; 81.02.96.402; 81.02.06.410; 81.02.06.456; 81.02.94.211; 81.02.06.488; 81.02.95.450; 01.81.02.100.024; 01.81.02.100.025; 81.02.06.444; 81.02.06.378; 81.02.06.571; 81.02.06.570; 81.02.94.191; 81.02.95.318; 01.81.02.100.012; 01.81.02.100.013; 81.02.06.427; 81.02.06.475; 81.02.06.446; 81.02.06.381; 81.02.94.475; 01.81.02.100.020; 01.81.02.100.021; 81.02.94.372; 81.02.94.210; 81.02.97.816; 81.02.96.798; 81.02.94.189; 01.81.02.100.010; 01.81.02.100.027; 01.81.02.100.026; 81.02.97.661; 01.81.02.100.011; 01.81.02.100.029; 01.81.02.100.028; 81.02.94.206;

81.02.94.499; 01.81.02.100.003; 01.81.02.100.004; 01.81.02.100.005; 01.81.02.100.023; 01.81.02.100.022; 81.02.06.459; 81.02.06.451; 81.02.06.455; 01.81.02.100.016; 01.81.02.100.015; 81.02.94.188; 81.02.94.190; 81.02.06.861; 81.02.06.534; 81.02.06.457; 81.02.06.338; 81.02.06.365; 81.02.06.751; 01.81.02.100.034; 01.81.02.100.035; 01.81.02.100.040; 01.81.02.100.039; 01.81.02.100.041; 01.81.02.100.038; 81.02.06.655; 81.02.06.544; 81.02.06.545; 01.81.02.101.014; 81.02.98.305; 01.81.02.101.016; 01.81.02.101.009; 01.81.02.101.015; 01.81.02.101.017; 01.81.02.101.010; 81.02.98.217; 81.02.06.460; 81.02.06.441; 81.02.06.430; 81.02.06.500; 01.81.02.101.013; 81.02.06.572; 81.02.06.519; 01.81.02.101.021; 01.81.02.101.020; 81.02.06.521; 81.02.06.418; 81.02.06.522; 01.81.02.101.022; 01.81.02.101.023; 81.02.96.794; 01.81.02.101.024; 81.02.06.434; 81.02.06.514; 81.02.97.077; 81.02.97.076; 81.02.06.382; 81.02.06.616; 81.02.06.615; 81.02.93.271; 81.02.93.217; 81.02.93.218; 81.02.93.216; 81.02.99.874; 81.02.99.466; 81.02.06.350; 81.02.06.387; 01.81.02.101.018; 01.81.02.101.019; 81.02.96.340; 81.02.06.518; 81.02.06.610; 01.81.02.101.011; 01.81.02.101.012; 81.02.06.862) და მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

36. „ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, როსტევანის ქუჩის II შესახვევი, N8, N6; ქალაქი თბილისი, დიღომი, ჩალიპირები; ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N76, N72; ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ნაკვეთი 34/686-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.034.095; N01.72.14.034.100; N01.72.14.055.146; N01.72.14.034.686; N01.72.14.034.684; N01.72.14.034.537) მრავალფუნქციური კომპლექსის დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

37. „ქალაქ თბილისში, გიორგი ბრწყინვალეს ქუჩა N45, N47; ქალაქი თბილისი, გიორგი ბრწყინვალეს ქუჩა N47-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.10.06.001.255, N01.10.06.001.256; N01.10.06.022.006) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

38. „ქალაქ თბილისში, გულიას ქუჩა N1-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.18.09.005.176; N01.18.09.005.116) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

39. „ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ შინდისში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.81.02.330.001) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

40. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, დავით კვაჭანტირაძის ქუჩა N8-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.10.001.048, ფართობი - 1819 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

41. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

42. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

43. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისთვის 2024 წელს შრომითი ხელშეკრულებით ასაყვან პირთა წლიური სახელფასო ლიმიტის დაწესების შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

44. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში სატელეფონო კავშირით სარგებლობის ხარჯების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N280 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

1. „მისამართებზე - ქ.თბილისი, საირმეს ქ.N37 (ს/კ. N01.10.14.024.036), ქ.თბილისი, მუხაძის ქ.N4 (ს/კ. N01.14.11.024.004), ქ.თბილისი, ი.აბაშიძის ქ.N55 (ს/კ. N01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტი ერთ-ერთი ურთულესი „ქეისია“, რომელიც აქამდე განუხილავს საკრებულოს, ამ საკითხზე ძალიან დიდი ხანია მიმდინარეობს მუშაობა და სწორედ ამ „ქეისის“ გამო, საჭირო გახდა ცვლილების განხორციელება კანონმდებლობაში და ბევრი რამ გაკეთდა იმისთვის, რომ დამდგარიყო სასურველი შედეგი. მნიშვნელოვანია ის, რომ დღეს მიღებული გადაწყვეტილებით მოგვარდება სამასამდე ოჯახის პრობლემა, ოთხმოცდაცხრამეტი ოჯახი დაკმაყოფილდება თანხით, რომლის მოცულობა ჯამში აღემატება ექვს მილიონ დოლარს. ასევე, ვაშლიჯვარში, მშენებლობისთვის გამოყოფილია 16000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, სადაც გამოცხადდება ინტერესთა გამოხატვა. საუბრის ბოლოს, ლევან ჟორჟოლიანმა დაუმთავრებელი მშენებლობით დაზარალებულ ოჯახებს, მათ შორის იმ პირებს, რომლებიც ესწრებოდნენ საკრებულოს სხდომას მიულოცა მათი პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღება.

ნინო წულაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან უსამართლოდ დაიჩაგრა ბევრი ადამიანი, რომლებსაც წლების განმავლობაში ქირით უწევდათ ცხოვრება და ძალიან სასიამოვნოა, რომ მათი საკითხი დადებითად გადაწყდა. მან მადლობა

გადაუხადა ყველა იმ ადამიანს, ვინც მონაწილეობა მიიღო ამ პროცესში და სხდომაზე დამსწრე დაზარალებულ მოქალაქეებს მიეცა ამ გადაწყვეტილების მიღება.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით განხორციელდა ძალიან მნიშვნელოვანი სამუშაოები და მადლობა გადაუხადა ყველა იმ ადამიანს, ვინც ჩართული იყო და წვლილი შეიტანა ამ საკითხის გადაწყვეტაში.

სხდომაზე დამსწრე მოქალაქეებმა, დაუმთავრებელი მშენებლობით დაზარალებული პირების სახელით, მადლობა გადაუხადეს საკრებულოს წევრებს და თბილისის მერს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

2. „შპს „აშფორდ დეველოპმენტი"-ს (ს/ნ. 405384463) მიმართ მისამართზე - ქ.თბილისი, ზ.ფალიაშვილის ქ.N104-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ. N01.14.11.021.027) - მიმართებით დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილია ტექნიკური ხასიათის ცვლილება, კერძოდ, ერთ-ერთ ობიექტზე მცირდება კ2 კოეფიციენტი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

3. „შპს „ათორის" (ს/ნ. 405077633) და მასთან აფილირებული კომპანიების მიერ მშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად დაზარალებული პირების საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფის მიზნით, ქ.თბილისში, სარაჯიშვილის ქ.N36-ში მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 16871 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.10.10.007.061 და სიტუაციური ნახაზის შესაბამისად) კონკურენტული შერჩევის წესით პრივატიზებისა და მასზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობის თაობაზე" ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების თაობაზე საკითხის შეთანხმების შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტი არის პირველი საკითხის თანმდევი, კერძოდ, გამოყოფილია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 16000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, რომელზეც ინტერესთა გამოხატვის გამოცხადება შესაძლებელია ხვალვე და მშენებლობის დასრულების შემდეგ, მუნიციპალიტეტს გადმოეცემა მინიმუმ 8000 კვ.მ., რომელიც განაწილდება დაზარალებულ პირებზე. აღსანიშნავია ისიც, რომ ხსენებული 8000 კვ.მ.-დან 4000 კვ.მ.-ს მშენებლობა განხორციელდება 2.5 წელიწადში, ხოლო სრულად ჩაბარების ვადა არის 4 წელი. ასევე, მნიშვნელოვანია ისიც, რომ მიწის ნაკვეთის მესამედი დაეთმობა კონცენტრირებულ პარკს, რომელიც გადმოეცემა ქალაქს, იქნება საჯარო და მოუვლის ქალაქი. ამასთანავე, კომპანიას ექნება ცალკე გამწვანების მოწყობის ვალდებულებაც.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა ნინო ლომინაძემ და განმარტა, რომ ცვლილება შედის სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დახმარების და სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარების წესში და იქიდან გამომდინარე, რომ 2017 წლიდან, სააგენტოს მიერ, აღარ ხორციელდება ბაზაში უსინათლოს მონიშვნა, თუ პირი განცხადებით წარმოადგენს სტატუსის დამადასტურებელ დოკუმენტს და ამასთან ბაზაში რეგისტრირებული იქნება შესაბამისი სარეიტინგო ქულით, შეეძლება პროგრამაში ჩართვა და მომსახურების მიღება; პროგრამაში უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში გაიზარდა დაფინანსების ოდენობა და 30 ლარის ნაცვლად, იქნება 40 ლარი; შინმოვლის თანადაფინანსების ქვეპროგრამაში დაემატა ტერმინთა განმარტების მუხლი, სადაც გაიწერა წესში გამოყენებული ტერმინების მნიშვნელობები, ამასთანავე, შეიცვალა პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულ მოსარგებლეთა რაოდენობა და წესით გათვალისწინებული ვაუჩერის ღირებულებების და კატეგორიების შესაბამისად, 900-ის ნაცვლად, განისაზღვრა 850-ით და ასევე, ცვლილება განიცადა ვაუჩერის ღირებულებამ, რომელიც გაიზარდა მცირე ოდენობით. წარმოდგენილ პროექტში, ასევე, გათვალისწინებულია საკრებულოს კომისიების მიერ გამოთქმული ყველა შენიშვნა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა ნინო ლომინაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შედის: ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამაში, კერძოდ, მედიკამენტები სრულად დაუფინანსდება არა მხოლოდ სოციალურად დაუცველებს, არამედ ყველა ბენეფიციარს; ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურების ქვეპროგრამაში, სადაც გაიზარდა დაფინანსება და 280 ლარის ნაცვლად განისაზღვრა 300 ლარით; გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების და კვლევების დაფინანსების ქვეპროგრამაში, სადაც ამოღებული იქნა ასაკობრივი ზღვარი; დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამაში, სადაც მოხდა რადიოლოგის დამატება და იმ შემთხვევაში, თუ ვერ იქნება მიღწეული კონსენსუსი, შესაძლებელი იქნება მესამე რადიოლოგის ჩართვა, მათ შორის, ის შეიძლება იყოს მოწვეული რადიოლოგი; აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამაში შეცვლილი იქნა პროგრამაში მოსარგებლეთა ჩართვის კრიტერიუმები; ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამაში დაზუსტდა წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი და იმ შემთხვევაში, თუ

მოსარგებლისთვის დიაგნოზის დასმა მოხდა საზღვარგარეთ, მან ფორმა 100-ის ნაცვლად, უნდა წარმოადგინოს საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულების მიერ გაცემული ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა ან დასკვნა, რომელიც შეიცავს ინფორმაციას პაციენტის დიაგნოზის, ჩარევებისა და გამოკვლევების შესახებ. ამასთანავე, წარმოდგენილი პროექტით, გასწორდა მცირე ტექნიკური უზუსტობები.

ანა კაკაბაძემ მადლობა გადაუხადა მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურს და აღნიშნა, რომ ჯანდაცვისა და სოციალური მიმართულებით წარმოდგენილი ცვლილებები ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი მოქალაქეებისთვის და პირდაპირ აისახება მათ კეთილდღეობაზე.

ვახტანგ სურგულაძემ აღნიშნა, რომ ჯანდაცვისა და სოციალური მიმართულებით მართლაც ძალიან კარგი საქმეები კეთდება და მადლობა გადაუხადა მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურს, საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოცილურ საკითხთა კომისიას და ყველა იმ ადამიანს, ვინც ამ საქმეებში მონაწილეობს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა კრწანისის რაიონის გამგებელმა ბექა მიქაუტაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტით იცვლება წელი, ხოლო სხვა ყველაფერი რჩება უცვლელი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის რეორგანიზაციის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელმა ნინო ჯაფარიძემ და განმარტა, რომ სააგენტოს სტრუქტურის განახლებისა და ოპტიმიზაციის მიზნით, არქიტექტურის სამსახურს დაევალა რეორგანიზაციის პროცესის დაწყებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება და შესაბამისად, რეორგანიზაციის ფარგლებში დაგეგმილია სამსახურის საქმისწარმოების სისტემის გაერთიანება მერიის საქმისწარმოების ერთიან სისტემასთან.

ვლადიმერ ბოჟაძე დაინტერესდა, რეორგანიზაცია ხომ არ გამოიწვევს კადრების შემცირებას.

ნინო ჯაფარიძემ განმარტა, რომ რეორგანიზაციის პროცესის დაწყებისას შედგება გეგმა, რომლის გათვალისწინებითაც გაიწერება, მოხდება თუ არა კადრების შემცირება, თუმცა, მიმდინარეობს მუშაობა იმაზე, რომ არ მოხდეს კადრების შემცირება და მოხდეს მხოლოდ ფუნქციების გადატანა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე დავით ჯაიანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებებით ხდება დროებით მოქმედი მარშრუტების გადატანა ხუთ ლოკაციაზე. საუბარია შვიდ მარშრუტზე, რომლების ცვლილებაც გამოიწვია ამ მარშრუტებზე საგზაო მოძრაობის ორგანიზების ცვლილებამ ან მოქალაქეების მოთხოვნებიდან გამომდინარე, უშუალოდ მარშრუტში განხორციელებულმა მცირე ცვლილებებმა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ პროექტი ითვალისწინებს ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში ტექნიკური ხასიათის ცვლილებას, კერძოდ: ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განხორციელდა რიგი ცვლილებები, რომლის მიხედვითაც ოქმის ფორმაში მოხდა ცვლილება, რაც ასახულია წარმოდგენილ პროექტში.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

10. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული

განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ მძღოლისა და მგზავრის მეტი ინფორმირებულობის მიზნით, პარკირების ადგილებზე, დახაზვასთან ერთად, როგორც მარცხენა, ასევე, მარჯვენა მხარეს, დატანილი იქნება დამატებითი ნიშნები.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

11. „სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსის (M_2 ან M_3 კატეგორიის) მარშრუტების დამტკიცებისთვის წესის განსაზღვრისა და მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ წესი ითვალისწინებს დედაქალაქში M_2 და M_3 კატეგორიის ავტობუსებით მოსწავლეების გადაყვანას, კერძოდ, თუ სკოლის ადმინისტრაცია მიმართავს მუნიციპალიტეტს და წარმოადგენს შესაბამის სქემასა და სატრანსპორტო საშუალების მონაცემებს, მას მიენიჭება უფლებამოსილება მოსწავლეები გადაიყვანოს კონკრეტული მარშრუტით და მათ შორის, ისარგებლოს „ბასლაინით“.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე სხვადასხვა კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ადგილის ან/და დროის განსაზღვრის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ საქართველოს პარლამენტმა, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განხორციელებული ცვლილებებით, მუნიციპალიტეტს მიანიჭა უფლებამოსილება დედაქალაქში სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებებისთვის გადაადგილების დროის და მონაკვეთის შეზღუდვასთან დაკავშირებით. წარმოდგნილი წესის შესაბამისად, M_3, N_2, და N_3 კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებებს, სამუშაო დღეებში, გარკვეულ ადგილებში, 8^{00}-11^{00} და 17^{00}-20^{00} საათებში, შეეზღუდებათ საქმიანობის განხორციელება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

13. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 125^2 მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 134^1

მუხლით, 135-ე-135[5] მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125[2] მუხლით, 135-ე-135[5] მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის N57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია ოქმის ფორმის ნიმუშების შეცვლა, რომელსაც დღეს იყენებს სააგენტო.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

14. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების მართვის მომსახურების ორგანიზების კონკრეტული ფორმის გამოყენებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა შპს „თბილსერვის ჯგუფის" დირექტორმა დავით ფაჩულიამ და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს: ნარჩენების შეგროვებას თბილისის დასახლებულ ტერიტორიებზე, პარკებსა და სკვერებში და შესაბამისი სტანდარტით, მათ ტრანსპორტირება-განთავსება-დამუშავებას პოლიგონზე; თოვლცვენის დროს მარილის მოყრას და გზების დამუშავებას; მოსახლეობის დასუფთავების მოსაკრებლის ამოღებას, განწილვადებასა და სხვადასხვა პროცესებს; ინდივიდუალური თუ მრავალჯერადი ხელშეკრულებების საფუძველზე, ფიზიკური პირებისა და ბიზნეს-სექტორის ნარჩენების გატანის მომსახურებას და სხვა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

15. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის ქუჩა N18-ში არსებული 91.22 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.062.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 91.22 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც 1990 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

16. „ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N44-ში არსებული 23.84 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.009.01.094) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 23.84 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც 2009 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

17. „ქალაქ თბილისში, აეროპორტის დასახლებაში, სახლი N91-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.008.012.01.001) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 36.21 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც 2000 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

18. „ქალაქ თბილისში, თენგიზ ჩანტლაძის ქუჩა N21ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.10.041.028) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 64 კვ.მ. ფართის გადაცემა ორი პირისთვის, რომლებიც 2005-07 წლებიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

19. „ქ.თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩა N7/1-ში არსებული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.14.003.627.01.502) პირდაპირი განკარგვის წესით ააიპ - საქართველოს ძალოსნობის ეროვნული ფედერაციისთვის (ს/ნ. 204892777) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით

სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია საქართველოს ძალოსნობის ეროვნული ფედერაციისთვის უზუფრუქტის ფორმით, 50 წლის ვადით, 277 კვ.მ. უძრავი ქონების გადაცემა, სპორტული ობიექტის მოწყობის მიზნით და ამასთანავე, ფედერაციას აქვს ვალდებულება, რომ სამი წლის ვადაში განახორციელოს მინიმუმ 100000 ლარის ოდენობის ინვესტიცია.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

20. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ინდუსტრიულ ქალაქს“ (ს/ნ. 404580191) შორის 2019 წლის 23 სექტემბერს გაფორმებულ „პირობებით გამოცხადებული აუქციონის N0-482-1-23724 ხელშეკრულებაზე“ დამატებების განხორციელების შესახებ შეთანხმების მოწონების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ 2019 წელს, აუქციონის წესით, შპს „ინდუსტრიულ ქალაქზე“ გასხვისდა მუხიანში მდებარე ე.წ. რადიოქარხნის ტერიტორია. კომპანიამ იკისრა რიგი საინვესტიციო ვალდებულებები, რომელსაც თანხობრივად ასრულებს და დასტურდება, რომ დღემდე განხორციელებული აქვს სამი მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია, თუმცა, წარმოდგენილი პროექტით, კომპანიას ეძლევა დამატებითი ვადა კონკრეტულ შუალედურ ვალდებულებასთან მიმართებით, რომელიც გულისხმობდა მიმდინარე წლის ბოლომდე გარკვეული ობიექტების ფუნქციონირების დაწყებას. აღსანიშნავია, რომ დამატებითი ვადის მიცემის მიუხედავად, რომელიც შეადგენს 9 თვეს, კომპანია გადაიხდის ამ პერიოდში დარიცხულ პირგასამტეხლოს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

21. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მესამე მასივში მდებარე რიგი ავარიული კორპუსების ჩანაცვლების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ ინტერესთა გამოხატვის გამოცხადების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტით დაგეგმილია ინტერესთა გამოხატვა ვარკეთილის მესამე მასივში მდებარე 11000 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე, რომლის მიზანია მიმდებარედ არსებული ავარიული კორპუსების მაცხოვრებლების დაკმაყოფილება და ოთხი ავარიული კორპუსის ჩანაცვლება. პროექტის განხორციელების შედეგად, მუნიციპალიტეტისთვის გადმოსაცემი ფართის საწყისი ოდენობა შეადგენს 9900 კვ.მ.-ს, მშენებლობის დასრულების და ესპლოატაციაში მიღების ბოლო ვადა არის ნებართვის მიღებიდან 30 თვე, ხოლო ნებართვის აღებისთვის განსაზღვრულია 4 თვე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

22. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-90 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა ვახტანგ ლომჯარიამ და განმარტა, რომ პროექტით წარმოდგენილია სპორტისა და ტრანსპორტის სექტორისთვის შეღავათების გავრცელება ქონების გადასახადზე, კერძოდ, აღნიშნული გადასახადი 1%-ის ნაცვლად, იქნება 0.001%, რაც გამომდინარეობს იქიდან, რომ აღნიშნულ სექტორებს აქვთ საკმაოდ მაღალი საბალანსო ღირებულების ქონება, თუმცა, არ გამოირჩევიან მაღალი მოგებით და პირიქით, სახელმწიფოსგან საჭიროებენ სუბსიდირებას, რადგან აქვთ მაღალი სოციალური დატვირთვა. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია მოქმედი შეღავათის გაგრძელება 2025 წლის პირველ იანვრამდე.

ვლადიმერ ბოჟაძემ განაცხადა, რომ აღნიშნული ძალიან დიდი შეღავათია ბევრი სპორტული ფედერაციისა თუ ორგანიზაციისთვის და მადლობა გადაუხადა მერიის შესაბამის სამსახურს პროექტის წარმოდგენისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

23. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა ვახტანგ ლომჯარიამ და განმარტა, რომ დასუფთავების გადასახადს იხდიან მშენებარე ობიექტებიც. წარმოდგენილი პროექტით, ისევე, როგორც დაუმთავრებელი მშენებლობები, მშენებლობის პერიოდში დასუფთავების მოსაკრებლისგან გათავისუფლებული იქნებიან ის ობიექტებიც, რომლების არანაკლებ 50% კ2 საანგარიშო ფართი, საცხოვრებელ კომპონენტში, განკუთვნილი იქნება იძულებით გადაადგილებული პირებისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

24. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა ვახტანგ ლომჯარიამ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებები ითვალისწინებს ავარიული შენობა-ნაგებობების ჩანაცვლების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის დროს, მშენებლობის ღირებულების, ასევე, ფართის რემონტისთვის და ბინის ქირის კომპენსაციისთვის, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ წარმოდგენილი დასკვნის გათვალისწინებასაც.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

25. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ”ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით წინადადებები წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის წერილებით: 12-03233551-03 თარიღი: 21.12.2023, N12-032336089-03 თარიღი: 26.12.2023, N12-032336094-03 თარიღი: 26.12.2023, N12-032336096-03 თარიღი: 26.12.2023 და აღნიშნა, რომ საკრებულოს შესაბამისი კომისიების რეკომენდაციით, მერის წერილებით წარმოდგენილ პოზიციებზე ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილება მისაღებია და კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

26. „ქალაქ თბილისში, პეტრე ქავთარაძის ქუჩა, N22ა; ქალაქი თბილისი, პეტრე ქავთარაძის ქუჩა, N22ბ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.03.040.095; N01.14.03.040.372) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 11000 კვ.მ., სადაც, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის პარამეტრებით, განთავსდება ორი მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

27. „ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში; ქალაქი თბილისი, ტაბახმელა, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.21.961; N81.02.21.509 N81.02.21.962; N81.02.21.508; N81.02.21.506; N81.02.21.593; N81.02.21.592; N81.02.01.692; N81.02.21.180; N81.02.21.222; N81.02.21.722; N81.02.21.221; N81.02.94.946; N81.02.21.537; N81.02.21.179; N81.02.21.772; N81.02.01.381-ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 45000 კვ.მ., სადაც, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, საცხოვრებელი ზონა 1-ის პარამეტრებით, განთავსდება ორმოცდაცხრა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

28. „ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში, მარიჯანის ქუჩა, N30გ, N30დ, N30ა, N32, N30, N30ბ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.18.580; N81.02.18.579; N81.02.18.582; N81.02.12.903; N81.02.18.666; N81.02.18.581) და მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 9331 კვ.მ., სადაც, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, საცხოვრებელი ზონა 1-ის პარამეტრებით, განთავსდება შვიდი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

29. „ქალაქ თბილისში, მერაბ კოსტავას ქუჩა N55; ქალაქი თბილისი, მდ.მტკვრის მარჯვენა სანაპიროს და კოსტავას I შესახვევი; ქალაქი თბილისი, კოსტავას ქუჩა N69-ში; ქალაქი თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა N51; ქალაქი თბილისი, მდ.მტკვრის მარჯვენა სანაპიროსა და კოსტავას I შესახვევი; ქალაქი თბილისი, ფაბრიკა „ამირან-სინთეზი"-სა და ცენტრალური საცურაო აუზის მიმდებარედ, სანაპიროს მხრიდან; ქალაქი თბილისი, სამრეწველო-სავაჭრო ფირმა „ამირან-სინთეზი"-ს მიმდებარე ტერიტორია სანაპიროს მხრიდან; ქალაქი თბილისი, გმირთა მოედანსა და საცურაო აუზს შორის; ქალაქი თბილისი, ცენტრალური საცურაო აუზის მექანიკური საამქროს მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, „ლაგუნა ვერეს" მოპირდაპირედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.15.03.004.038; N01.15.03.004.090; N01.15.03.004.049; N01.15.03.004.037; N01.15.03.004.017; N01.15.03.004.028; N01.15.03.004.015; N01.15.03.004.008; N01.15.03.004.013; N01.15.03.004.019; N01.15.03.004.043; N01.15.03.004.041; N01.15.03.004.042; N01.15.03.004.046; N01.15.03.004.023; N01.15.03.004.084; N01.15.03.004.061; N01.15.03.004.079; N01.15.03.004.078) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი

საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 45000 კვ.მ., სადაც, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, სარეკრეაციო ზონა 2-ისა და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის პარამეტრებით, განთავსდება ორი მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

30. „ქ.თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ლიპტოვის ქ.N8, N17-ში, თბილისის ზღვა, ბეშენოვას ქ.N7, N7ა, N9, N22, N24, N26, N28, N30-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 8 მაისის N164 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 239000 კვ.მ. წარმოდგენილი კორექტირებით მე-9 და მე-10 სექტორებში ზუსტდება შენობა-ნაგებობების განთავსების არეალები.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

31. „ქ.თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა N38-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.07.007.046, ფართობი 26123 კვ.მ.) და მიმდებარე ტერიტორიაზე საერთო ფართობით 26973 კვ.მ. განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 18 ოქტომბრის N334 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი კორექტირებით იცვლება შენობა-ნაგებობების ფუნქციური დანიშნულების გადანაწილება, კერძოდ, საცხოვრებელი ფუნქცია 75%-ის ნაცვლად, იქნება 90%, ხოლო კომერციული ფუნქცია 25%-ის ნაცვლად - 10%.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

32. „ქალაქ თბილისში, კრწანისის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.06.013.013, ნაკვეთი 13/13) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 14 აგვისტოს N200 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 121000 კვ.მ. კორექტირებით წარმოდგენილია სამი სექტორის გაერთიანება და მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა, საცხოვრებელი ზონა 5-ის პარამეტრებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 19

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

33. „ქალაქ თბილისში, ზემო ფონიჭალის დასახლებაში მე-3 მ/რ-ის გაგრძელებაზე (ნაკვ. 37/1); ქალაქი თბილისი, სპირიდონ ვირსალაძის ქუჩა, N1, N3, N5, N7-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.18.13.037.001, N01.18.13.037.039, N01.18.13.037.038, N01.18.13.037.040, N01.18.13.037.061) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 13000 კვ.მ., სადაც, დაგეგმილია სამი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა, საცხოვრებელი ზონა 6-ისა და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის პარამეტრებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

34. „ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.02.740; N81.02.02.738; N01.81.02.280.005-ის ნაწილი) და მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 5500 კვ.მ., სადაც, დაგეგმილია ოთხი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, სარეკრეაციო ზონა 2-ის პარამეტრებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

35. „ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ შინდისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N N81.02.06.536; 81.02.06.537; 01.81.02.100.037; 01.81.02.100.036; 81.02.06.538; 81.02.06.535; 81.02.94.740; 81.02.98.016; 81.02.06.527; 81.02.06.567; 81.02.06.394; 81.02.06.549; 81.02.06.543; 01.81.02.100.001; 01.81.02.100.002; 01.81.02.100.019; 01.81.02.100.017; 01.81.02.100.018; 81.02.06.530; 81.02.06.540; 81.02.06.539; 81.02.06.529; 01.81.02.100.043; 01.81.02.100.042; 81.02.94.234; 81.02.06.531; 81.02.06.569; 81.02.93.291; 81.02.96.001; 81.02.06.424; 01.81.02.100.033; 01.81.02.100.032; 81.02.06.532; 81.02.06.546; 81.02.06.542; 81.02.94.185; 81.02.94.314; 01.81.02.100.007; 01.81.02.100.009; 01.81.02.100.008; 01.81.02.100.006; 81.02.95.832; 81.02.96.443; 81.02.94.333; 81.02.06.485; 81.02.94.184; 01.81.02.100.030; 01.81.02.100.031; 81.02.96.402; 81.02.06.410; 81.02.06.456; 81.02.94.211; 81.02.06.488; 81.02.95.450; 01.81.02.100.024; 01.81.02.100.025; 81.02.06.444; 81.02.06.378; 81.02.06.571; 81.02.06.570; 81.02.94.191; 81.02.95.318; 01.81.02.100.012; 01.81.02.100.013; 81.02.06.427; 81.02.06.475; 81.02.06.446; 81.02.06.381; 81.02.94.475; 01.81.02.100.020; 01.81.02.100.021; 81.02.94.372; 81.02.94.210; 81.02.97.816; 81.02.96.798; 81.02.94.189; 01.81.02.100.010; 01.81.02.100.027; 01.81.02.100.026; 81.02.97.661; 01.81.02.100.011; 01.81.02.100.029; 01.81.02.100.028; 81.02.94.206; 81.02.94.499; 01.81.02.100.003; 01.81.02.100.004; 01.81.02.100.005; 01.81.02.100.023; 01.81.02.100.022; 81.02.06.459; 81.02.06.451; 81.02.06.455; 01.81.02.100.016; 01.81.02.100.015; 81.02.94.188; 81.02.94.190; 81.02.06.861; 81.02.06.534; 81.02.06.457; 81.02.06.338; 81.02.06.365; 81.02.06.751; 01.81.02.100.034; 01.81.02.100.035; 01.81.02.100.040; 01.81.02.100.039; 01.81.02.100.041; 01.81.02.100.038; 81.02.06.655; 81.02.06.544; 81.02.06.545; 01.81.02.101.014; 81.02.98.305; 01.81.02.101.016; 01.81.02.101.009; 01.81.02.101.015; 01.81.02.101.017; 01.81.02.101.010; 81.02.98.217; 81.02.06.460; 81.02.06.441; 81.02.06.430; 81.02.06.500; 01.81.02.101.013; 81.02.06.572; 81.02.06.519; 01.81.02.101.021; 01.81.02.101.020; 81.02.06.521; 81.02.06.418; 81.02.06.522; 01.81.02.101.022; 01.81.02.101.023; 81.02.96.794; 01.81.02.101.024; 81.02.06.434; 81.02.06.514; 81.02.97.077; 81.02.97.076; 81.02.06.382; 81.02.06.616; 81.02.06.615; 81.02.93.271; 81.02.93.217; 81.02.93.218; 81.02.93.216; 81.02.99.874; 81.02.99.466; 81.02.06.350; 81.02.06.387; 01.81.02.101.018; 01.81.02.101.019; 81.02.96.340; 81.02.06.518; 81.02.06.610; 01.81.02.101.011; 01.81.02.101.012; 81.02.06.862) და მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 449000 კვ.მ., სადაც, დაგეგმილია სამას ოცდაცხრამეტი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, სარეკრეაციო ზონა 3-ის პარამეტრებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

36. „ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, როსტევანის ქუჩის II შესახვევი, N8, N6; ქალაქი თბილისი, დიღომი, ჩალიპირები; ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N76, N72; ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ნაკვეთი 34/686-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.034.095; N01.72.14.034.100; N01.72.14.055.146; N01.72.14.034.686; N01.72.14.034.684; N01.72.14.034.537) მრავალფუნქციური კომპლექსის დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების

პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 7800 კვ.მ., სადაც, არსებული ზონის ფარგლებში - საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2, დაგეგმილია ორი მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობის მშენებლობა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

37. „ქალაქ თბილისში, გიორგი ბრწყინვალეს ქუჩა N45, N47; ქალაქი თბილისი, გიორგი ბრწყინვალეს ქუჩა N47-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.10.06.001.255, N01.10.06.001.256; N01.10.06.022.006) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 11000 კვ.მ., სადაც, არსებული ზონის ფარგლებში - საცხოვრებელი ზონა 6, დაგეგმილია ორი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

38. „ქალაქ თბილისში, გულიას ქუჩა N1-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.18.09.005.176; N01.18.09.005.116) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 13000 კვ.მ., სადაც, დაგეგმილია ორი მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობის მშენებლობა, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის პარამეტრებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

39. „ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ შინდისში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.81.02.330.001) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და

ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 96000 კვ.მ., სადაც, დაგეგმილია სამოცი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, სარეკრეაციო ზონა 2-ის პარამეტრებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

40. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, დავით კვაჭანტირაძის ქუჩა N8-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.10.001.048, ფართობი - 1819 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ დაინტერესებული მხარე, კვაჭანტირაძის ქ.N8-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის 2.5-დან 2.9-მდე გადამეტებისა და გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციებისგან გათავისუფლების სანაცვლოდ, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია-ჩანაცვლების მიზნით, ბიუჯეტში ჩარიცხავს 270000 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

41. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია საკრებულოს მაჟორიტარი წევრების წარმომადგენლობებში დასაქმებული თანამშრომლების ხელფასების 10%-იანი ზრდა.

საბა ბუაძემ საკრებულოს აპარატის თანამშრომლებს მადლობა გადაუხადა მიმდინარე წელს გაწეული მუშაობისთვის, რომლებიც, მისი თქმით, ძალიან უმარტივებენ საქმიანობას. განაცხადა, რომ საკრებულოს ფუქნციონირება დიდწილად არის მათი დამსახურება. უკეთესი მომავალი წელი უსურვა როგორც აპარატის თითოეულ თანამშრომელს, ასევე, საკრებულოს წვრებს და იმედი გამოთქვა, რომ მშვიდობიან და ქალაქისთვის საკეთილდღეო გარემოში განაგრძობენ მუშაობას.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

42. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ. განმარტა, რომ საშტატო ნუსხა მტკიცდება ხელფასების 10%-იანი ზრდის გათვალისწინებით და კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

43. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისთვის 2024 წელს შრომითი ხელშეკრულებით ასაყვან პირთა წლიური სახელფასო ლიმიტის დაწესების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ. განმარტა, რომ ფრაქციებისთვის შრომითი ხელშეკრულებით ასაყვან თანამშრომელთა წლიური ლიმიტი წარმოდგენილია 10%-იანი ზრდის გათვალისწინებით, რათა მოხდეს ხელფასების ზრდა და კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

44. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში სატელეფონო კავშირით სარგებლობის ხარჯების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N280 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ. განმარტა, რომ წარმოდგენილია სატელეფონო კავშირის ლიმიტების ცვლილება, რომელიც ეხება მხოლოდ საკრებულოს აპარატს და წევრებს და კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას, იმედი გამოთქვა, რომ მომავალი წელი კიდევ უფრო წარმატებული იქნება და საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 15 დადგენილება და 29 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი